


572

1978 2

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



1978 03 01 010 N7

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



საზღვარი მოდულუნე მდინარეს მიუყვება. მდინარის აქეთ რკინის მალად კოშკზე კარბინიანი მესაბღვრე დამგარა და ღურბინეში იყურება.

კოშკიდან მოშორებით, ბაღახებში—გელა ჩასაფრებულა და ისიც გაფაციცებით გადასცქერის მდინარეს. ცოტა ზემოთ ბალ-ბოსტნებითა და ხეხილით ალაღანებულ ბორცვებზე და ფერდობებზე ოდა სახლები წამოჭიმულან. დიდია ის ზღვისპირა სოფელი და მაინც ყველა იცნობს გელას,—დიდიც და პატარაც. არც მესაბღვრეებისათვის არის უცხო. ყველამ კარგად იცის, რომ გელას ჯაშუშის შეპყრობა სწაღია და ამიტომაც ზოგ-ზოგს ჩუმად ეცინება:

— ნეტავ რა ჯაშუშის დამკვირია, პირზე დედის რძე არ შეშრობიაო.

ხალხის დაპარაკზე გული მოხდის გელას, მაგრამ იბტიბარს არ იტებს, ილა პაპაც ხშირად აგულიანებს:

— მაგათ ყურს ნუ უგებებ, შვილო, ხალხი ჭრელია; ხან ამას იტყვიან, ხან იმას, საზღვართან ვცხოვრობთ, გარედან ათასი მტერი გვიტრიალებს, რატომ არ შეიძლება ერთხელ შენც გადააწყფე შემოპარულს? მთავარია—სიფხობლე. მამაშენი შენხელა იყო, თავი რომ ისახელა.

— ეგ ამბავი მომიყვიო, — ეხვეწება ბიჭი მოხუცს.

და პაპაც, ვინ იცის, მერამდენედ მოუთხრობს:

— ერთხელ, მდინარის პირას, წვრილიანში, მამაშენი თხებს მწყემსავედა. სანამ თხები ნეკერი თერებს ამოივსებდნენ, ის ბურქნარში დამკრებოდა, აქა-იქ—ბაღახებში მიყუფულ მწიფე მარწყვს კრეფდა. იმ ძებნა-ძებნაში მძინარე კაცს წასწყდომია. უყურებს, ჩვენებური მიწა-წყლის ფერი არ ადევს, უცხოა. უკან ფეხაკრფით გამოტრიალებულა, მესაბღვრეებთან მიურბენია და რაც ნახა, უამბოა. იმათაც მაშინვე იქით გაუქუსდავთ. ის უცხო კაცი მართლაც ჯაშუშში აღმოჩენიდა. თურმე დილა-უთენია მდინარე გადმოუღახავს, ბურქნარში დაუძინია, რომ ღამით გზა გაეგრძელებინა. მესაბღვრეებმა დიდი მადლობა გადაუხადეს მამაშენს.

პაპა ხელს საზღვრისაკენ იშვერს და მკაცრად ამბობს:—ოქით სხვა ქვეყანაა, ბიჭო, შურთ ჩგენი, ფხიზლად უნდა იყო, ფხიზლად.

გელაც ფხიზლობს. ტოლებთან სათამაშოდ ძლივს იცის. დღე არ გავა, საზღვრის დასახედავ არ წაივრის. ყველიპარია კატასავით ბუჩქნარს ფენაკრფვით მიივღ-მოივღის, იქაურობას დაკვირვებით მოათვალიერებს. აი, ახლაც იმიტომ გადასცქერის მდინარეს.

უცებ რალაც ფაჩუნი მოესმა. მიიხედა, თავზე უბარმაზარი, მგლისფერი ძალი წამოსდგომოდა, სისხლივით წითელი ენა გვერდზე მოჰქცეოდა.

გელამ შესაზღვრეთა ძალი იცნო, აღმასას ეძახიან. ერთხელ და ორჯერ არ შეხვედრია; უცებ გაჩნდება ხლამე და უცებვე გაქრება. ახლაც ერთი მადიანად დაამთქნარა და კოშკისკენ გაიქცა.

ბიჭმა სინანულით გააყვია თვალი და ისევ მდინარეს დაატყერდა. მღვრიე, თიხისფერ წყალს ხის ნაფოტები და ფოთლები მოჰქონდა. წყლიდან ერთ მტკაველზე ამოშვერილი, ცერა თითის სიმსხო რალაც შავი საგანიც შენიშნა და გულმა ბაგა-ბუგი დაუწყა. გელამ კარგად იცის, რომ ჯაშუშები ხშირად საზღვარს წყალქვეშ გადმოსურავენ ხლამე. საპაეროდ კი ასეთი წვრილი მიღები აქვთ; მიღის ერთი ბოლო პირში აქვთ ჩადებული, მერე—წყლის ზემოთ არის ამოშვერილი.

— მიღია, მიღი!—გაიფიქრა ბიჭმა და თითქოს მიწას მიეყინა.

მიღი ნაპირთან მოცურდა, დღეს წამოვლო და გაჩერდა. საცაა ჯაშუში წყლიდან ამოვა. გელამ თვლი კოშკისკენ გააპარა, მესაზღვრე ბურგშექცევით ეგას. ხომ არ სჯობია ახლავე მოცურებლის საგულშაგოსკენ? არა, უკეთესია, მოიცადოს, ჯერ თავისი თვლით ნახოს წყლიდან როგორ ამოიძურწება საზღვრის დამრღვევი. მაგრამ ჯა-

შუში არ ჩქარობს. ვინ იცის, იქნებ ბაღაშებში სოკოსავით ჩამალული გელა შენიშნა? ბიჭს ცხერი და დოყვით დაუწითდა, შუბლზე ოფლია დაასხა. ის ოხერი, რომელიღაც მწერი შიშვედ კანზე შეაყოცოდა და არხვინად გადგამოდის. გელას ვერც შუბლზე მოუსვამს ხელი და ვერც კანზე მოუფხანია, მოთმინების ფილად აევისა; როდემდე უნდა უცადოს, შშიშარა ხომ არ გგონიათ, ჩავა და თვითონ ამოათრებს იმ მიდიანად.

ბიჭი ფრთხილად მივიდა ქვასთან. დახედა, მიღი კი არა—წყლით გაყვივებული ჯოხი იყო, ამოსწია, ხელში ჯირკი შერჩა. გაჯავრდა; სვედ ქვაზე შეხტა, ჯირკი ყუმბარასავით მოიშარჯვა და მდინარეში სტყორცნა. ხელი რომ მოიქნია, წონასწორობა დაკარგა და მდინარეში მოადინა ტყაპანი. წყალმა მაშინვე გაიტაცა, მანც არ დაიბნა, ხელი ყოჩაღად მოუსვა, მაგრამ ნაპირისკენ ვერა და ვერ გაცურა. დინება მდინარის შუაგულისაკენ ითრევდა. ვაი, იქით ნაპირისკენ რომ გამიტაცოს, შიშით გაიფიქრა. უნდოდა მშვედელისათვის დაეძახა, რომ სწორედ ამ დროს—ბურგში ვილაც ჩაეჭირა. ბიჭს თავზე გადასდოდა და წყალი და თვალმდებულებს არ შეეძლო მშვედელი დაენახა.

ფეხქვეშ რომ მიწა იგრძნო და მუხლი გამართა, მაშინლა შენიშნა; რიყით მოფენილ ნაპირზე მესაზღვრეთა ძალი წყლის წვეთებს იფერთხავდა.

— აღმას, შენა ხარ!—სინარულით და გაოცებით შესძახა ბიჭმა და გულიანად გაულიმა ძაღლს.

ფერდობზე მესაზღვრეები ჩამობოდნენ, რომ გაიგეს, რა ამბავიც იყო, ჯერ გულიანად იციხეს, მერე გელას სიფხიზლე მოუწონეს და უთხრეს:—შენგან კარგი მესაზღვრე დაგვბოლა.



ჩაფხულშით და სკოლა სოფელს

ტავა მავურიშვილი

ზაფხულაობით სოფელს მართლაც
 რა სჯობს,—ჩაფხულს მწვანეში.
 არ გაკლია არც ბებიას,
 არც ბაბუას აღერსი.
 ოპ, როგორი მოფერება
 იცის მერე მამიდაძა,
 „ჭირიძე“ და „გენაცვალე“
 წვეთაფს თაფლად ბაგიდან.
 მე შენ გეტყვი—მოგაკლდება
 სილი, მერე რა სილი!
 გინდა—მანას წაჭევე ტყეში,
 გინდა—მწვემსე ნახირი.


გინდა—მეშებრებს ეთამაძე
 მწვერ-კურდღელზე დაგეპილით,
 გინდა—მდინარეს მიაშურე
 ბადით, ანდა ანკესით.
 გინდა—ბურთი ითამაძე
 საღამომდე დილიდან.
 ვინ გიწერება, მარვალ-საღათს
 შინ მოთხვრილს თუ მიიტან.
 დღეს მივდივარ, გაბეზვრება
 სოფლად რა საამოა!
 მაგრამ თქვენ თქვით დაღონება,
 იქიდან რომ წამოვალ.



ბანაობა

კ. გოგიაშვილი

ამ სიცხეში—მდინარეში
 გადავეძით ერთად ვეკლბა,
 ვაჟა, წვალბი სომ არ გითრევს,
 სომ არ გინდა, ბიჭო, შველა.
 ტირიფის ქვეშ ვჭეუქმანლობთ
 ვია, ვაჟა, ზურიკვლა.
 ხან—ვისუენებთ მსეში მოღზე,
 კოტრიადობს ცუგრიკვლაც-
 მზის სსივები, დახეთ, წვალზე
 როგორ ბზინავს,
 როგორ ელავს,
 ამ თბილ წვალში ემწვილებთ
 გადავეძით ერთად ვეკლბა.



პეტილი მიწა

აჰვაჰ ინანიშვილი

დღეს ოქტომბრის ოცდაროია, მზიანი დღე, თხუთმეტში კი ძალზე მოკირჩხლა. დილით რომ ავდექით, თითქოს თხელი თოვლი მოსულიყო, მჭრქალი ლურჯი ბურუსიც იდგა. ქაღები ამბობდნენ, კიდევ კარგი, კიდევ კარგი, რომ ვაშლების დაკრეფა მოვასწართო. მაინც გაჩქარებული ფაციფუცობდნენ,—კარტოფილი და გოგორები დათბუნეს, სხვენში გაფენილი ვაშლი ყუთებში ჩააწყვეს. როდის მოასწრეს მოფრენა,—ბალი ლამაზი სკვინჩებით აივსო. იმათი მოსვლა უხაროდათ თუ რა იყო,—ერთ ამბავში იყვნენ ჰინჭრაქები. სხვა ღროს სულ ღობე-ღობე მძრომები ისხდნენ გამოცალკეებულ როკებზე და გატაცებით გალობდნენ. მზემ რომ შემოიმაღლა და დათბა, ხეებიდან ფოთლებმა იწყეს ცვენა. კაკლის ქვეშ გაუჩერდი და თვალეზი დავხუჭე. ისეთი ტაპა-ტყუპი ისმოდა, თითქოს წვიმა მოდისო, სინამდვილეში—ფოთლები ცვივდნენ. საღამომღე თითქმის ყველა ხე ვაშიშვლდა, მარტო ერთი ბატარა ვაშლიდა იდგა მწვანედ. პაპამ თქვა:—ერთი უყურეთ მაგასა, კაი ყინვაგამღლე ვაქაკი უნდა დადგესო! მოაგორა ტაქის წინა თვალი, მქედ-

ლისთვის სალტე გადაეკრევივინებინა. თან მოაგორებდა, თან რალაცნაირად იღიმებოდა.—ხვალ ხომ კვირაა, ქვეყნისთვალოო—(მე ქვეყნისთვალს მეძახის. ქალო, ქალოო, ქვეყნის—თვალოო). კვირაა-მეთქი. მაშაო, ორ-შაბათის გაკვეთილები ამაღამეე ისწავლეთ, შენცა და ბერდომაც, დილაზე ერთ კარადგილას უნდა წაგიყვანოთო. საღამეთქი, პაპა, საღამო!—გე თუ წინასწარ ითქვა, წასვლაც აღარ ეღირებოაო.

სულ ასე იცის. ხან მე ვეხვეწე, ხან ბერდო, მაინც არ გვითხრა. ვისწავლე გაკვეთილები, მეც ვისწავლე, ბერდოსაც ვასწავლე. პაპამაც, რომ დაღამდა,—აბა, ერთი მეც ცოტა წავიშეცადინოო,—გადმოიღო ვაჟა-ფშაველას დიდი ტომი, გაიყეთა სათვალე, აიკრიფა ფეხები ტახტზე და დაიწყო კითხვა. იკითხა ერთ საათს,—ვეო, რა ბოდრა ბიჭი იყოო!—შეაქო ვაჟა, წიგნი თავის ადგილზევე დადო და ბებიას გასძახა:—თვალისჩინო (ბებიას თვალისჩინოს ძახის), სულის საქმეს მოეგინი, ახლა ხორცისთვისაც მიმახედინეთო. ბებიას არ ეცალა, დედამ გაშალა სუფრა. ჩვენც მიუუსხედით, მე და ბერდო. პაპამ—ვახშმისა—ერთი ჩანსიქიქა წითელი ღვინო დალია. საღვთგობლოც თქვა:

—ღმერთო, შენის მადლითა, შენ მოუკრუხე დედალი ფხაკუნანთ რძალსაო.—ჩვენ

გაგვეცინა, მე და ბერდოს.—რას იცინითო,—
 გვითხრა პაპამ,—ის ფხაკუნანთ რძლი დღეს
 საბუკოს წინ იდგა და მთელ სოფელს გადას-
 ძახოდა, ქააო, გაგონილაო, წელიწადი ისე
 გავიდა, ქათამი არ მომკრუხებიაო! იქნება
 როგორ ვასკრას ჩემმა ლოცვამ, ვთქვა, ბაქს
 ხომ არავინ მახდევინებს სიტყვის თქმაშიო!
 ბებია ამ ივინიდან გამოსძახა:—ფხაკუნანთ
 რძლის მქველი არ დაგაყენო, ცოტა წესიერ-
 რად ელაპარაკე ყმაწვილებსაო!—პაპამ თვალი
 ჩაგვიკრა, წავალ ახლა მე ჩემს ციხე-კოშკშიო.
 ბოდიში მოგვიხადა, ამოიღო ილიაში თა-
 ვისი „ვთა-ფშაველა“ და ავიდა მეორე სარ-
 თულზე. ჯერაც დაუმთავრებელ ოთახში.
 იქა სძინავს ზამთარშიც. შემოვიდა დედა, წა-
 ღლით, დაიბანეთ ფეხები და დაწვეით თქვენ-
 ცაო. წავედით.

ღლით, აღგომისთანავე, პაპასთან გავიქე-
 ცით, საღორესთან ჩაკუტკულიყო და ლო-
 რებს სალაფავს ურევდა. ვთხოვე—ახლა მაინც
 ვთქვა, სად მივდიოდით. გაელიმა,—წუხელ არ
 გვიძინათო? გვეძინა-მეთქი. კარგად გვიძინათო?
 კარგად-მეთქი,—თუმცა მე შუალამისას ძილი
 გამიკრთა. აბა, მაშ, ახლა კარგად ისაუზმეთ,
 თბილადაც ჩაიკვით და გაუუღვეთ გზასაო.
 ვკამეთ საჩქაროდ, თბილადაც ჩავიციეთ, პა-
 პამ ცხენი შეება, ტუკაში რბილი ბალახი
 ჩააგო, მოგვეხმარა, ჩაგვსხა. ჩამოვიდგა კა-
 ლათა, კალათაში ორი აბგაც ჩაღო,—აბა,
 კარგად იყავით, უჩვენოდ არ მოიწყინოთო,—
 შესძახა ჩვენებს; გამოვიდნენ დედა და ბებია.

დედამ თქვა,—არ დამიციო ეს ყმაწვილე-
 ბი, ამ სუსხში სად მიგყავსო. პაპამ უთხრა,—
 აგერ, როგორი მზე ამოდის, სულ მალე და-
 ცხება კიდევცაო.—გაუჯავრდა ცხენს, გავედით
 ეზოდან და დავადექით დიდ გზას. ტყისკენ
 რომ გავბრუნდით, მე ვთქვი,—აა, ტყეში
 მივდივართ-მეთქი. პაპამ კი გამიღიმა და მი-
 თხრა,—რათა ტყეში! ტყეშიც, მინდორშიც,
 მთაშიც და ბარშიცაო. აბა, გაიხედეთ, რა
 ლამაზია თუნდაც აქაურობაო. მართლაც
 ძალიან ლამაზი იყო ყველაფერი. გადაჭირხ-
 ლულ ველსა და ბუჩქნარს მზე მოსდგომოდა
 და რაღაც ნაზად ბრწყინავდა. პაპა ცხენს
 ელაპარაკებოდა,—შენ რა, ცუდი სიზმარი
 ხო არ ნახე, რა უწადინოდ ირჯები, თქვი,
 თუკი სათქმელი რამე გაქვსო. ცხენი, რა

თქმა უნდა, ხმას არ იღებდა, თავჩალოუნელი
 მიაბიჯებდა.—აბა, მაშინ, შენ თუ არას იტყვი,
 მე დამიგდე ყურიო და პაპამ სიმტკიცა და
 წყო ხვესურულ კილოზე:

ჩემ ჯორა ნატვრის თვალია,
 ფასი არ დავედებისაო.

ეს ისეთი სასაცილო სიმღერაა, მე და ბერ-
 დო ერთმანეთს ვეყუდებოდით ხითხითით.
 სულ მალე, როგორც პაპამ თქვა, მშვენიერად
 დათბა. მე პალტო გავიხადე.—არ შეგცივ-
 დეს, გოგოო! ბერდომაც დაიწყო გახდა,—
 შენ ნუ, შე კიანოო,—მიუბრუნდა პაპა, მაგ-
 რამ ბერდომაც გაიხადა.

ჩახრიალებამდე სულ დიდ გზაზე ვიარეთ,
 ჩახრიალებთან გადაუხვიეთ, ავედით ზემოთ,
 ნასოფლართან, გავიარეთ ის ნასოფლარიც,
 ნასიმიდარიც, კიდევ ვიარეთ, ვიარეთ და
 ერთ დიდ მაქალოსთან გავჩერდით. ჯერ გა-



ჩერებული არ ვიყავით, დავინახეთ, —ტრაქტორით მოთარეული დიდი ხმელი წიფელი ფვლო, ტოტებდალეწილი, ქერქამძვრალი. იმ წიფლის ზემოთ კი, ფერდობზე, ზღმარტლი, ზღმარტლი, რომ თითქოს შავი რაღაცების გუნდი დასვეია ზედაო! გადავხტით ტაქვიდან და გავიქვეცით. პაპა მოგვძახოდა, —ნელა, არსად არ აპირებენ წასვლასაო, მაგრამ ჩვენ მაინც სირბილით ავედით ფერდობზე. ხან ერთ ბუჩქთან მივირბენდით, ხან მეორესთან —უპ, რა თხლუპ-თხლუპიაო! —ხან მე ვიძახდი, ხან —ბერდო. პაპა კმაყოფილების დიმილით გამოგვეყურებდა, თან გვარიგებდა, —ბევრს ნუ შესჭამთ, სხვა რამეებიცა გვაქვს დასაგემოვნებელიო. ჩვენ მაინც ბევრი ვჭამეთ, ბერდომ ცხვირ-პირი სულ მოითხუპნა. ჩაგვიძღვა ხევში პაპა. იქ წყალი მოდიოდა, —წმინდა, წმინდა, სულ ფესვებში და ხავსებში. ბერდოს ცხვირ-პირი მოვბანეთ, გადავედით

იქით, ავეყვით ზემოდან ჩამომავალ ფოთლებით სავსე ჩაღრმავებას. ფოთლებზე ქიოხლო იღო. გავედით სხვა ჩაღრმავებაში. ჩაუღა პაპა, ფოთლები გაქექა, გახვეტა სიგარდნი. ვი ფსკერი გამოაჩინა და სახეგაბრწყინებული მოგვიბრუნდა. თხილები! ოღნავ მოგრძო, ოღნავ სველი, მსხვილ-მსხვილი ტყის თხილები! ეყარა იმ შავ ფსკერზე ლამაზად. მე და ბერდო სიხარულით ვუყიენდით, ვიგდეთ პირში. მაგრამ ძალიან მაგარი იყო, ვერ გავტეხეთ. პაპა იცინოდა, —ვერაო, შვილო-ნიასაო, ვგრე ვერაო, მაგათი მომრევი მარტო ქვააო! მოვძებნეთ ქვებიც. ვამტერვედით და ვახრამუნებდით. გემრიელი იყო, მეტი აღარ შეიძლება. ზოგს ვამტერვედით, ზოგს აბგაში ვიყრიდით. პაპა სულ აბგაში ჰყრიდა. თუ ძალიან მსხვილ თხილს იპოვიდა, გვაჩვენებდა, —ესაო, ერთ თავგსო სადილადაც ეყოფა და ვახშადაცო. ესაო, სადილადაც



ვახშმადაც და მეორე დღის საუზმეზედაცო. მაგრამ ახლანდელი თავგებიც ვაზარმაცებულ-ლი არიან, მაშ, მე რომ თავი ვიყო, მაშ, მე რომ ერთი ფიცხელა თავი ვიყო, ამათ აქ დავტოვებდიო! ააქანავებდა ხელისგულზე თხილებს და ჩაყრიდა აბგაში. იმდენი ავკრიფეთ, ერთი აირწინალის აბგა სულ ვაივსო, მეორე ნახევრამდე იყო. პაპამ წერილი წნე-ლით მოუკრა პირი ერთსაც და მეორესაც. დავბრუნდით ტაქსასთან. ცხენმა რომ დავგი-ნახა, ხვიხინი დაიწყო. პაპამ უთხრა,—რაოო, მოგვნატრეთო? ცხენმა ისევ დაიქნია თავი, თითქოს ჰოს გვეუწებოდა. მივედით და სა-მივემ მოვუფერეთ.

პაპას პური და ყველი წამოვლო. დავსხე-დით, ვკამეთ. ჩვენ რომ ვკამდით, პაპა ბუჩქ-ნარში რალაცას დაეძებდა. იპოვა, დავვიძახა, მივედით და გინდ დამიჯერეთ, გინდა არა,—ჯერაც ისევ ცოცხალ-ცოცხალი შვინდი! ისიც გადაქექილ ფოთლებში! ეს პირის ჩასა-კოკლოზინებლადო, მხოლოდ ეს უნდა გაი-რეცხოსო. ავკრიფეთ იმ ქალაღში, პაპას რომ ყველი და პური ჰქონდა გახვეული, ჩა-ვიტანეთ წყალზე, გავრეცხეთ და რომ დავი-გემოვნეთ, აღტაცებულეებმა შევხედეთ ერთ-მანეთს. პაპამ თქვა,—აბაო, თრთვილდადებ-ბულ შვინდზე გემრიელი არაფერია ქვეყანა-ზეო. მართლა! მართლა!

ზღმარტლის კრეფა სულ ადვილი იყო, დავკრიფეთ, კალათა პირამდე გავავსეთ, ამა-სობაში მზეც საშუადღეოს გადასცილდა, ჩა-ვიბარგეთ ტაქსაში და წამოვედით მხიარუ-ლად. პაპა სულ ღიღინებდა:

მიწა ვარ ნიდაგ მენა,
მიწა ჩემი მშობელი...

ხან ღიღინებდა, ხან—ჩვენ გავრიფტად შე-ნაო. ქვეყნის თვალთ, უნდა ილტყო ხელ-მეო, დასწვე, დაიხარო მიწისკენ, უნდა—~~თქვა~~ ღმერთო, ჩემი კეთილი მიწა მიცოცხლე-თქო, ასდგე, გასწორდე და მაშინაც ამას უნ-და ვხვეწებოდე უფალსო. შენ კიდევო, ბერ-დო, მე უკვე ვბერდები, ახლა შენ უნდა გა-მოიბა ცხრა თვალი და ცხრა ყური, ავმა კაც-მა არაფერი ვააფუქოს შენს ირველივო.

ბერდო წამოხტა, ხელები ასწია, რალაცა უნდა დაეძახა, ტაქსა ჩაზღაყუნდა და ბერდო თივაში ჩაეცა საჯდომით.

პაპა სულაც არ არის ბებერი, აგვისტოს ოცდარვაში, მარიამობას, ორმოცდათვრამე-ტი წლის გახდა.

ახლა რა არის საოცარი! საოცარი ის არის, რომ ბოლო ხანებში თითქმის ყოველდამე მელვიძებოდა და მერე მიძინეღებოდა დაძი-ნება. მე ახლაც მელვიძება ნაშუალამევს, მაგ-რამ დავხუტავ თვალებს, თვალგდახუტული წარმოვიდგენ: ფანჯრის რაფაზე ტყის თხი-ლია გაფენილი, ქვაბში გემრიელი ზღმარტ-ლი ყრია და ის ქვაბი ჩემი საწოლის ქვეშ არის შედგმული, ჩახრიალებს ზემოთ, ნასი-მინდარების იქით, დიდი მაქალო დვას, იქვე ტრაქტორით მოთრეული ხმელი წიფელი გდია, ხავსებში და ფესვებში მომწვანო წყა-ლი მილიკლიკებს, ჩრდილიან ფერდობებში, ყვითელ ფოთლებზე თეთრი ქირხლი დევს, ხეების კენწეროვებთან ნათელი მზე ანთია,—ამოვიწყებ ხელებს ბალიშის ქვეშ, ვიტყვი,—ღმერთო, ჩემი კეთილი მიწა მიცოცხლე,— და მაშინვე ჩამძინება ტკბილად.

ბერდოს ხომ სულ ტკბილად სძინავს.

ნახატები ელზარე ამბოკაძისა





მეზღვაური

არჩილ ბაძაური

არ მაშინებს მოვარდნილი
ქარიშხალი, მგებთა ტეხა,
გაშლილი ზღვის სიბოხოქრე
და ტალღაზე ტალღის შეხლა.
მახარებს და მახალისებს
ეს სტიქია, ეს ზღვაური,
გავიზრდები და ვიქნები
უშიშარი მეზღვაური.

ნახატი ნოდარ სულემენაშვილისა

წრუნუნების სიზმარი

ერთ წრუნუნას ერთხელ ღამით
დაესიზმრა კატის ჯარი,
წამში ყველა გამოხანჯლა,
არ შეჭამა არვის ჯავრი.
თან ამაყად გაჰყვიროდა:
— ვინ დაგვეჯანის წრუნუნებსო,
ყველას მოვსპობთ, ვინც ჩვენს
მოდგმას
ვეუკაცობას უწუნებსო!



მონალიჩი

პეპარ კვიციანი

ს ლ ა პ ა რ ი

ყვეჩხი და ლორმუცელა
 იყო ქვეყნად მეფე ფიფი...
 მუჰისტოლა კოპი აჯდა;
 გოდორივით ედგა ღიპი.
 ფარეშებს და კარისკაცებს
 დღეში ცვლიდა სამას-სამასს,
 დაგორავდა და ჭყიოდა:
 რა სჯობია სმას და ჭამას.
 სულ ძილსა და მთქნარებაში
 ატარებდა ზაფხულ-ზამთარს,
 სხვის დაქერილ კალმასს

თქვლევდა.

სხვების მოკალულ ხობობს ჭამდა.

ნაირ-ნაირ საქმელების
 სუნი იდგა სასახლეში.
 იწვევებოდა გოკუები და
 წიწილები გასახლენი.
 იქით ჯიხვი იდო ქვაბში,
 აქეთ—ტაბი გარეული,
 ასი ჩამჩით ტრიალებდა
 ასი ზორბა მზარეული.
 მოხარშული ბექ-ბარკალიც
 ბევრი აქნეს, დაუკეპეს,
 დიდი ხონჩით მიართმედნენ,
 ეამოსო იქნებ მეფეს.
 ისიც ნთავდა ნაქერ-ნაქერ,
 ნეტარებდა:—იფ, იფ, იფ...
 არც ბოლერა და არც ტიფი,
 ეზრდებოდა მეფეს ღიპი.
 აბანოშიც ნადიმობდა,
 მითხარითო ყველამ ბანი...
 დანდალებდა, თანთალებდა:
 — ხალხი მკლე და მე მსუქანი.
 ლატაკების ნაოფლარით,
 ვერ იქნა და ველარ გაძლა,
 ღმერთმა ასე ინებაო!
 მე—სასახლე, მონებს—ფაცხა,
 მე—მწვადები, იმათ—ფაფა,
 რას მიქვიან, ვეყო, ჯაფა,
 მოსვენება ხომ ჭირდება,
 ვინც ჭამაში გაიქაფა.
 არ უკითხავს ხვნა და თესვა,
 სათიბი და პურის უანა...

„მთავარია კარგი მადა
 და ძილის წინ ფეხის ფხანა“...
 მეფე ფიფის დედოფალიც
 შესაფერი ესვა, ფეფო,
 ვერ ნახავდით უფრო მახინჯს,
 რომ მოგველოთ ის სამეფო.
 ოცდარვა დღეს იწვა თვეში
 თავწაკრული, როგორც ბზიკი,
 რიგრიგობით აწვალებდა—
 ხან—ნეკრესი, ხან—შაკიკი.
 მარჩიელი, ექიმბაში
 დაახვიეს თავზე ყველა,
 შეულოცეს, უმკურნალებს,
 ვერაფერმა ვერ უშველია.
 ამ უოფასაც შეეჩვივნენ,
 ერთი ჰქონდა ცოლ-ქმარს დარდი:
 არ ეყოლათ უფლისწული,

ძე, ხელმწიფედ გასაზარდი.
 წუხდა ფიფი:—რო იქნება,
 ჩემმა ფეფომ ვაჟი შობოს—
 ესლა დარჩა სანატრელო...
 უძიროს და უნაყოფოს.
 არ ისმინა ღმერთმა თხოვნა,
 არ ასრულდა ნატვრა მათი,
 ამ ლოდინში მიიწურა
 ოცდაბუთი წელიწადი.
 ბოლოს თავი დაიმშვიდეს:—
 არ გაგვწირავს ბედი ჩვენი,
 სულერთია, დღეს თუ ხვალე
 მოხდებოა მოსახდენი.

...

ერთხელ ფიფიმ, უთენია,
 ნადირობა მოინდომა:



რიორკა

პაპაპი გეჭადი

საამურმა დღემ ბავშვები სათამაშოდ გარეთ გამოიტყუა.

პატარა გუბის მახლობლად კრელწინსაფრიანი ქეთინო გამრჯე დიასახლისივით ტრიალებდა, ბრტყელ ქვებზე ტალახის ლავაშებს აკრავდა; მზე გამოაცხობსო. მისი ვარაუდით,



როცა ლავაშებს პირის კანი შეებრაწა, აკრიფა და ცაცხვის ჩრდილში წამოსკუბებულ წითელკაბიან თვალბუქუნა დედოფალს მიუტანა. ლედვის ფოთლები სუფრასწინით გავრქნა, ზედ ლავაშები კოხტად დაალაგა და თოჯინის ტუქსეა დაუწყო:

— თამრიკო, ნუ ხარ ზარმაცი, ყოველთვის მე ხომ არ უნდა გეხვეწო, ისადილე-მეთქი... საქმელი პირში ძალით ჩაგატენო? ერთხელ შენით აიღე!

დედოფალას პატრონის დარიგება სულაც არ ესმოდა, გვერდზე იყურებოდა გაშტერებული.

— ჯამე, თორემ ერთს გემოზე გაგწკებლავ!— გაუწყრა კრელწინსაფრიანი გოგონა.

უცებ ქეთინოს კარის მეზობელმა ვაჟამ თავისი ლავამოდებული ჯოხის აჩუა მოაგელვა. მხედარმა, ვითომ ერთბაშად რაში ვერ შეაჩერა, დედოფალა ლავაშებიანად გადათელა.

— ეს რა ჩაიდინე? რატომ წამიქციე დედოფალა!— დაუყვირა ქეთინომ.

— რა ჩემი ბრალია, ცხენმა ვერ შეიკავა თავი.

გოგონამ თავაშვებულ მხედარს გიჟი ცხენი გამოგლიჯა და გულმოსულმა ღობის გადაღმა გადაუგდო.

— ესეც ასე, თუ ცხენის ბრალია!— მერე გულაჩუყებულმა გადაჯგვილი თოჯინა წამოაყენა, ძველი ნაჭრით თავი სათუთად შეუხვია და მოეფერა:

— ნუ ტირი, გენაცვალე, ნუ ნატყენი მალე მოგირჩება.

ვაჟამაც დააპირა, დედოფალას მოეფერებო, მაგრამ დაბღვერილმა ქეთინომ არ დაინება:

— მომშორდი, შენთან აღარ ვითამაშებ! ბუტე, ბუტე, გაგებუტე, აღარ ვეთამაშებ!

ბიჭი რამისთვისაც კი აღარ გადავიდა დობეზე, ნაღვლიანად გაუყვა შარას. ბეჭობს რომ მოეფარა, ბუდიდან ახლად გადმოფრენილი, წამოჩიტული ბარტყი დაინახა, ჩიორამ ფრთები აფრთხილა, მაგრამ ვერ გაფრინდა, ბიჭმა ქუდი ესროლა და დაიჭირა. გახარებულმა მაშინვე პატარა გუბისკენ გამოსწია. გოგონას შორიდანვე მიიძახა:

— ქეთინო, ქეთინო, აი, ჩიტუნია, შენთვის დავიკირე.

ქეთინოს მაშინვე დაავიწყდა წყენა, ობოლი ჩიორა ხელში სასოებით აიყვანა და მიეაღერსა.

— შენი დედოფალა ხომ დანაყრდა, ახლა ჩიტუნასაც ვაჭამოთ, მშიერი იქნება,— თქვა ვაჟამ.

— კეთილი, ვაჭამოთ,— დაეთანხმა ქეთინო. ბიჭმა ბარტყი გამოართვა, ყვითელი ნისკარტი გაუღო და შიგ ძალით ჩასტენა მზეზე გამომსხვარი „ლავაშის“ ლუკმა.

უმწეო ჩიორა აწვევდა, მოინდომა ბიჭის ხელიდან თავის დაღწევა, მაგრამ ამაოდ. ზედმეტად გულუხვი მასპინძელი არ მოეშვა. გინდა თუ არა, ჭამეო. ჩიორამ ერთხელაც გაიბრძოლა, სუსტი ფრთები გააფართქალა, თვალები საბრალოდ მილულა და სული დალია.

— ვაიმე, მოკალი?! — შეიცხადა ელდანაცემმა გოგონამ. დამფრთხალმა ბიჭმა კინტი ვერ დასძრა, ჩიტს დაუწყო მოსულიერება. მაგრამ მკვდარს რაღა ეშველებოდა, რა აღერსი გააცოცხლებდა.

— ეს რა ჰქენი ბიჭო, დაახრჩე?
— რა ვიცი, მგონი, რაღაც მოუვიდა... — ხმა აუკანკალდა ბიჭს.

ქეთინო ტიროდა. ამ დროს გზაზე ტყისკენ მიმავალი გოგობიჭები გამოჩნდნენ. მკვდარი ჩიორას დანახვაზე, ისინიც დაღვრემილები შეჩერდნენ.


— საწყალი, რა მოუვიდა? — იკითხა ერთმა. ქეთინომ ბავშვებს ტირილით უამბო ჩიორას ამბავი.

გოგო-ბიჭებმა ვაჟას შეუბღვირეს და უხმოდ გაშორდნენ.

ვაჟა ერთხანს ტუჩებს იკვებტდა, მერე თავჩაქინდრული წავიდა შინ.

მეორე დღეს ვაჟა და ქეთინო გუბესთან მოვიდნენ. ფეხებგაფშვკილი ჩიტის ახლომახლო ჰიანჰველებს რამდენიმე მწკრივი ბაწარივით გაბმულიყო. მიდი-მოდიოდნენ და საწყალ ჩიორას სხეულზე ფუთფუთებდნენ.

ახლა უფრო შეებრაღათ დაღუპული ჩიორა, წვეტიანი ჯოხით ღობის ძირში მიწა ამოთხარეს და ჩიტი დასაფლავეს.



ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

შემდეგ, როცა ვაჟა ამ ადგილთან გაივლიდა ხოლმე, ბედშავ ჩიორას სიბრალოლით გაიხსენებდა და ამოიოხრებდა, რა ტყუილუბრალოდ გამოვასალმე სიცოცხლეს, დამნაშავე ვარო. მერე თავის თავს ეფიცებოდა: არც ჩიტს, არც პირუტყვს და არც ადამიანს ჩემს სიცოცხლეში ცუდად და უდიერად აღარ მოვექცევით.

ალბათ ამ ფიცს ვაჟა არასოდეს არ უღალატებს.




კუდიანი კატა ფეფო
 ვუფხვის ბოკვერს ჰგავს,
 დანანსა რუსი თავვი,
 ნეკვავს განდაგანს,
 ისკუპა და დიჭირბ...
 ვაბი, სირცხვილო,
 რკინის თავვი უეიდი
 თურმე ციციროს.
 მერე მართლა თავვი ნახა,
 ნეკვავს განდაგანს,
 დარცხუნილი კატა ფეფო
 ეყარება კბრს,
 აბა, რისთვის დიჭირბ,
 რკინის თავკს რომ ჰგავს?!

ფიორა ჩიტო

ჯანიკო გავუნია

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორავ,
 ჩიტო, ერთო ფიორავ,
 ხარ პაწაწა სულდგმული,
 გაქვს ფაფუკი ბუმბული.
 ნუთუ არ გეშინია,
 ცად რომ შეკრავ კამარას,
 ამ ნამღევა ნისკარტის
 და ჭანგების ამარა,
 როგორ გაუმკლავდები
 მიმინოს და ძერასო?
 — ციკქნა ვარ და სისწრაფით
 მაინც ეჯობნი ყველასო!



ნახატები სოფით კინძურაშვილისა



ზღაპარი საჰნის ბუზტუა

გუგული ბოგონიძე

...იარა, იარა კაბუკმა და მივიდა იქ, სადაც მზე ცხოვრობდა... მზის პირისნაბანში ამოავლო ხმალი...

...ნისლით მოიბურა ხეები... საცაა ურჩხული გამოჩნდებოდა. წყაროსთან, ბელურასავით მობუზულიყო პირმშვენიერი ასული და ტიროდა. გარშემო შიშა და უბედურებას დაესადგურებინა... და, ამა, ისიც გამოიზიარა, ცხრათაიანი საზარელი.

შიშმა გაათანგა ქალწული... მოულოდნელად, მტრინავ რაშე ამხედრებული, ხმალშემართული კაბუკიც გამოჩნდა...

— მზის სამეფოდან დაბრუნდა?—იკითხა სმენად-ქვეულმა ბუთბუზა გოგონამ და ფუნჩულა ხელი თმაზე გადაუსვა.

— ჰო...

— მერე?

— მერედა, რიგრიგობით მიგორავდნენ ურჩხულის თავები მიწაზე...

ქალწულს ცალ თვალზე რომ ცრემლი ეკიდა, მეორე უციონდა... ტყუისფერი ღრუბლებიდან მზემ გამოიჩუქტა... ოქროსთმიანმა კაბუკმა ცხენზე შეისვა ქალი და ჩიტივით გაფრინდა...

— ალბათ, ისევ მზესთან, არა?—კვლავ იკითხა გოგონამ და სკამის საზურგულს მიეყრდნო... უყვარდა ფიქრი; ყველივით თავს ოდნავ გვერდზე გადახრიდა, თვალებს მოწკურავდა და ოცნებობდა: ხან—უდაბნოში აქლემებზე გადამჯდარი მიიკვლევდა გზას, ხან—ტყეში, მთებზე დაეხეტებოდა, მთის მწვერელებზე ასულა, ჩიტის ფრთები მონდომებია და მზის სხივებში ლივლივი უნატრია...

ოქროსთმიან კაბუკზეც უოცნებია, ურჩხულს რომ გამოსტაცა აცრემლებული ასული და მზესთან წაიყვანა. სტუმრად მოსულს, ახლად გაცნობილს უსიტყვოდ პირველად იმას ჩაეკითხებოდა ფიქრიანი თვალებით:

— წამიყვან მზესთან?..

გუშანითაც ეერ ხედებოდნენ მის ნაფიქრს და, რა თქმა უნდა, პასუხსაც არავინ აძლევდა. იმედგაცრუებული გოგონა თავს დახრიდა, განზე გადგებოდა, ყველივით მოიღერებდა ყელს და ოცნებობდა ხან რაზე და ხან—ვისზე...

ერთხელ, უმიზეზო ნაღველმა შეიპყრო, სვედა

მოეძლია. ვერსად მოისვენა, ვერც სახლში, ვერც ეზოში, ვერც ყვავილნარში... კუთხიდან-კუთხეში დაიწყო ბორიალი. უცებ, ჰაერში ბუმბულივით მოფარფატე საპნის ბუშტი მოჰკრა თვალი; ტატიოთ ეშვებოდა დაბლა. საპნის ბუშტი გოგონას ცხვირწინ ჩამოფრიალდა, სიოს ფრთებზე შედგა და წამით შეჩერდა. შიგ მზის სხივები რიალებდა. გოგონამ შეფრთხივით შეხედა და ანახლად, ჰოი, საკვირველებზე, —ოქროთი ნაფერ რძისფერ ბუშტში იციო, რა დაინახა? კუქნა ვარდისფერი ბიჭუნას სახე.

გოგონას გაოცებისაგან წამწამიც კი არ დაუხამხამებია. მერე, გაიფიქრა, მომეჩვენაო, თვალები დახუჭა და გაინახა. უცებ, დაბალი, გულში ჩამწვდომი ხმა ჩაესმა: —წამო, მზესთან წაგიყვან, არ გინდა?

— მზესთან? — გულში სიხარული შეუფრინდა გოგონას. სიოს ფრთებზე ირხეოდა საპნის ბუშტი, შიგ კუქნა ბიჭუნა ლივლივებდა და სხივანა, ფიქრში ჩამირული, ოღნავ ნაღვლიანი თვალებით შემოსტკვროდა.

— რაო, რა მითხარია?

— მზესთან წაგიყვან-მეთქი!

გოგონას სახე ოქროსფერად გაუბრწყინდა და ბარტყივით აქლოპინდა:

— მინდა, როგორ არ მინდა, აი, ახლავე წამოგყვები, — და ხელი ბიჭუნასაკენ გაიწვინა. მერე, ანახლად გულში შიში შეეპარა, ისევ ძირს დაუშვა, ტუჩები გამობურცა: — შუა გზაზე რომ მიმატოვო?

ბიჭი მოულოდნელმა კითხვამ გააოცა და განაწყენებულნი ნიაივით აჩურჩულდა:

— მაშინ რად მოვიდოდი შენთან?! შენ ხომ ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ მიხმე? ვიცოდი, გაფრენა გინდოდა... იქ, სადაც მზე ცხოვრობს...

გოგონა მის ყოველ სიტყვას სუნთქვამგვარული უდგებდა ყურს და კუქნა, ვარდისფერი ბიჭუნათი აღფრთოვანებულმა ტანში სიმსუფუქე იგრძნო, თითქოს ფრთები გამოეხსა, საცაა გფრინდებოაო.

ბიჭუნამ ხელი ჩასქიდა. ერთბაშად მზის სხივებში მოლივლივე ცხელმა თითებმა გოგონას ხელი დასწო, —უჰ! — წამოიძახა, ლოყები გამობერა, — ფუო! — უმისამართოდ სული შეუუბერა და ეშმაკურად გადაიკისკისა. უცებ საპნის ბუშტი შეირხა, ბიქს შიშისაგან თვალები გაუგანინდა.

— რა მოხდა?! — ჰკითხა გოგონამ.

— რად შემიბერე, ხომ შეიძლება ბუშტი გამსკდარიყო!



— ო... ეგ... ეგ... არც... კი მოფიქრია, — თავგზაებუნა გოგონას.

— რომ გამსკდარიყო! — დაეინებოთ გაიმეორა ბიქმა, ბურთს თითი ჰკრა. გახეთქა და საპნის ბუშტიდან ქვაფენილზე ისკუპა. გასაფრენად აზიდულ გოგონას გაწვდელი ხელი ფრთამოტეხილ ჩიტვით ჩამოუვარდა. ბიჭუნას შეატკვრდა და გაოგნდა, ვარდისფერი კი არა, ჩვეულებრივი ბიჭუნა იყო. სხევისაგან არაფრით გამოირჩეოდა. მიღოდა მშვიდლად და არხენდა. უკან არც კი მოუხედავს.

გოგონა დაიზაფრა, ქვედა ტუჩი გამოებურცა და ნიკაბი აუთრთოლდა. ნიაივი კისრისტეხით გამოიქცა და ყვავილივით ოღნავ გვერდზე თავგადაწვეულ გოგონას ვაეთამაშა, თმაში ვაეხლართა, აუჩინა, აუბურღდა შუბლზე, სახეზე ჩამოუშალა და ზმანებლად გამოიყვანა.

ვარდისფერ ღრუბლებში თავმერგული მზე თითქოს თვალს უკრავდა გოგონას და კუკუშალოლობანას ეთამაშებოდა.


ჩაინდები

მედი ზეზინაძე

საქართველოს
შრომობილი

საქართველოს
შრომობილი

მე, დამთავრდა დიდი ომი,
 მიწედა ხმლების ჯახაჯუსი.
 გახალისდა წერილფენობა:—
 ისეი, ბეტი, თხა და კრუსი.
 ირგვლივ ისმის შემსნილი
 და სიცილი გადამდები:
 — ვაშა, გოგის! ვაშა, რეზოს!
 დაამარცხეს ბუბუდევეი!
 რაინდების სანახაუად
 დიდ-ზატარა მორბის აქეთ:
 — რა გმირები გვეზრდებიან,
 ჰეი, ხალხნო, მოდიო, ნახეთ!
 — ბუბუდევეი რომელია?—
 ვეითხება დათო ბესოს,
 ან ეს ჯირკი აქ რომ გდია,
 ასე რატომ გათოკესო?—
 იქვე ახლოხ წუაროს ზირანს
 ეიუინებენ ბუბუდევი:
 — ეიუი! ეიუი! ეგ ჯირკი
 ის ცსრათეჲა ბუბუდევეი!



ჩიზუნა

მედი სვანიძე

მიიზარა ფისუნა
 დიდი მუსის ძირას,
 ჩაუსაფრდა ჩიტუნას—
 სუსტს და ზაწაწინას.
 აჭიკტიკდა ჩიორა
 ისე, ისე ტკბილად,
 ფისუნია ავსაგს
 მშვიდად ჩაემინა!





კრუსნი

შალვა შუბლაძე

ოციოდე წიწილა
 დაუჩქევანს კრუსნს,
 ეველანს თავზე დაჭქითქოთებს:
 — ოს, და,
 — ას, და,
 — უს!
 ვაირბენს და ვაძორბენს,
 დააუენებს ბუღს.
 ცაზე ერთი ქორცი ვრ ჩანს,
 რა აძუოთებს კრუსნს?!



რა დაეკარგა ბიჭუნას?!

— რას დაეძაბა?—კითხა მოზუცა ბიჭუნას.
 ბიჭმა ჩაა პა მასცა და ბირილ-ბირილით მანამამო მზა
 ბავშვებო, ამ სტრიქონებს თუ გულდასმით დააკვირდებით, ავროპითხათ რასაც დაეძა-
 და ბიჭუნა.

ტამოყანა

ტყის უბეში დაიბადა,
 ტყეა მისი შშობელი,
 ელაეს ვერცხლის ქამარივით
 მარად დაუშრობელი.
 ყვავილები გაახარა,
 ფერი მისცა ბალახებს,
 სიცოცხლეა ჯეჯილების;
 ამალღებს და ალაღებს.


შოთა ამირანაშვილი

დავით

მზია ჩხებიანი

ვასაეგმა შემოსძახეს:
 — იფ, რა კარგი ლამეაო,
 მთვარის შუქზე ვერხვი ედაგს,
 თეთრ ფოთლებზე ნამიაო!—
 კუტკალია აბუბლუნდა:
 — ეგეც დიდი რამეაო,
 კარგი ვრთი, თუ გიყვარდე,
 დამაძინეთ, ძამიაო.

თავსაზანი



შევესეთ ცარიელი უჯრედები გარბული ფრთხვლების სახელეებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ სიტყვა—მშვიდობა.
შეადგინა ასპინძის რაიონის, სოფელ ნაქალაქივის სკოლის მოსწავლე მ რუსუდან თონაძემ.

გყაუბი

ავთანდილ მგვარაღიშვილი

ხის ფოთლები აწითლდა,
ტყეში ხილი დამწიფდა.
ძვეტეში ვერვინ შესულა,
დანდალასაც ეს უნდა.

გარიელი და მიხომ

- ჩვენს ბალ-ბოსტანს, ტარიელ, გოკი შემოგჩვია!
- რატომ არ შეაშინე?
- ჩემოდენა ვშვი აქვს!

შეადგინა გალის რაიონის, სოფელ რეფი-შეშელეთის სკოლის მოსწავლემ ემა ქავშაბაიამ.

მეხუდი





იკვებთ ორი ერთნაირი პეპედი

ნახები მიხეილ სოლოვიოვისა

მთავარი რედაქტორი მუხრან მებრძვანიანი

საქართველო კლდეის ანჯორ აბლაშვილი (მ/მ, მღერის), პლარდ აბლაშვილი, კუპარი გომიშვილი, ლიშია პარაძე, მამალა მამალაშვილი, ჯიშუა მუჭიანი, პირაკი რომიშვილი (სახ. რედაქტორი), იტარა მებრძვანიანი, რომარ ლარიაშვილი, ვიპო კნულაძე.

საქ. ფლეცია დ. ჯ. ლენინის სახელობის პრინტინგ ორგანიზაციის ტექნოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი, ვ. მ. ცეცხლის ვ. ჯ. ჯ.

ტექნიკური პედი წამომართი

მისამართი: რედაქციის გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-19; მ/მ მღერის — 93-10-32, 93-98-17; სახ. რედაქტორის — 93-98-18; კარგეთ — 93-98-19; სამღერის — 93-98-18.

ვალდებ. ასრულებს 18/IV-78 წ., ხელმოწერილია დასამუშავებელი 19/IV-78 წ., ქალაქის ზომა 60×90, * ფის. ნახ. ფურც. 25, ტარატი 152.000. ზეც. № 1157. „მკლ“ № 7, ნა გრუნიანო მკლ. ფის. 20 კახ.

საქ. კ. ცეცხლის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии